



10 მარტს გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ჯონი აფაქიძის წიგნის - "დასავლეთი და ცენტრალური კავკასია გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, კოლხური კულტურის ქრონოლოგია" - პრეზენტაცია. წიგნი, რომელიც მეტად სოლიდურ და ფართომასშტაბიან ნაშრომს წარმოადგენს, გერმანულენოვანია და გერმანიაშივე დაიბეჭდა ჰუმბოლდტის ფონდის ხელშეწყობით. მისი რედაქტორია პროფ. ბერნჰარდ ჰენზელი (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი).

პრეზენტაციას ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II, სტუმართა შორის იყვნენ ასევე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი, ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბიძინა, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილე კულტურის დარგში, ბატონი ქრისტიან პლატე, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარამია, აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი გვაზავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი ბატონი პროფ. ნუგზარ ჩიტაია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი ბატონი მინდია ოკუჯავა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი ქალბატონი დალი ხომერიკი, თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, გერმანიის სასწავლო აკადემიური გაცვლების სამსახურის (DAAD-ს) ხელმძღვანელი გებჰარდ როილი და სხვა საპატიო სტუმრები.

პრეზენტაციას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე უძღვებოდა.

პროფესორმა ჯონი აფაქიძემ დამსწრე საზოგადოებას ის ძირითადი თემები გააცნო, რომლებზეც წიგნშია საუბარი, ისაუბრა კოლხური კულტურის როლსა და მნიშვნელობაზე, იმ ცხრაწლიან შრომაზე, რომელიც მან ამ წიგნზე მუშაობას მოანდომა გერმანიაში, ბერლინისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში, ასევე საქართველოში.

პრეზენტაციაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი ვერნერ ვოილი, გერმანიის ელჩის მოადგილე კულტურის დარგში ქრისტიან პლატე, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი გვაზავა, აკადემიკოსი რისმაგ გორდუზიანი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, კავკასიის ბიზნეს-სკოლის დირექტორი კახაბერ შენგელია, აგრარული უნივერსიტეტის რექტორი გელა ჯავახიშვილი. გამომსვლელებმა მიულოცეს ბატონ ჯონი აფაქიძეს ესოდენ ღირებული წიგნის გამოცემა და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თვით ეს ფაქტი მიუთითებს ავტორის, როგორც თვალსაჩინო მეცნიერისა და მკვლევარის აღიარებაზე უცხოეთის სამეცნიერო წრეებში, აღინიშნა, რომ წინამდებარე გამოცემა კიდევ უფრო განამტკიცებს ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს და

თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის საქმეში.

წიგნის შესახებ ვრცლად ისაუბრეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ბატონმა კიაზო ფიცხელაურმა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, ბატონმა ვახტანგ ჯაფარიძემ.

დასასრულ, ჯონი აფაქიძემ, რომელსაც მკერდს საქართველოს საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდო - წმინდა გიორგის ოქროს ორდენი უმშვენებდა (ეს ჯილდო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2009 წლის 17 მაისს გადასცა), დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, პრეზენტაციაზე მობრძანებულ საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ღირსეულად ატარებს საპატრიარქოს უმაღლეს ჯილდოს და მშობლიურ აფხაზეთშიც ღირსეულად დაბრუნდება.